პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

1979 წელი შაბათი 30 ივნისი № 150 (17495) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

## საბჭოთა გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს!

ძვირფასნო ამხანაგებნო!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ გილოცავთ ქვეყნის გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს ღირსშესანიშნავ თარიღს — ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მიერ გამოგონებათა შესახებ დეკრეტის ხელმოწერის მე-60 წლისთავს და გამომგონებლისა და რაციონალიზატორის სრულიად საკავშირო დღის დღესასწაულს.

დეკრეტში მოცემულმა ლენინურმა იდეებმა განსაზღვრა გამომგონებლობის განვითარების ძირეული პრინციპები სოციალიზმის პირობებში და ფართო შესაძლებლობანი დასახა მშრომელთა მასობრივი ტექნიკური შემოქმედებისათვის.

60 წლის მანძილზე საბჭოთა გამომგონებლობამ დიდი და სახელოვანი გზა განვლო. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მილიონობით ენთუზიასტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სახალხო მეურნეობის განვითარების აქტუალური პრობლემების გადაწყვეტაში, ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში გამომგონებლები და რაციონალიზატორები წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის სოციალისტური შეჯიბრების აკვანგარდში არიან, თავიანთი შემოქმედებითი შრომით ხელს უწყობენ შრომითი კოლექტივების მიერ სახალხო-საშეურნეო დავალებების წარმატ[illegible]

კომუნისტური მშენებლობის ეტაპზე ამოცანები მოითხოვს, რომ [illegible] ტორები, კვლავ [illegible] წინავეთა შორის, უფრო სწრაფად ქნიდნენ და ნერგავდნენ წარმოებაში პროგრესულ ტექნიკასა და ტექნოლოგიას, ბეჯითად ავლენდნენ შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, მატერიალური და ენერგეტიკული რესურსების მომჭირნეობის რეზერვებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ ქვეყნის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მრავალრიცხოვანი რაზმი ამრავლებს მეცადინეობას იმისთვის საბრძოლველად, რათა წარმატებით განხორციელდეს სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებანი, დაჩქარდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ღირსეულ წვლილს შეიტანს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ნემსიდან ტელევიზორამდე

# ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს XXXIII სესია

# ძმური თანამშრომლობის დიადი ძალა

ლ. ი. ბრეჟნევი: ფოტომატიანის სარკეში

**ვენა** ვუსურვო სოციალისტური ინტეგრაციის საქმიან მტკბს — ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებს, ყველას, ვინც დაკავშირებულია მუშაობის ამ მნიშვნელოვან უბანთან, გააძლიერონ თანამშრომლობის ახალი ფორმებისა და მეთოდების შემოქმედებითი ძიება მისი ეფექტიანობის ამაღლების, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების, მთელ მსოფლიოში მშვიდობის დამკვიდრების მიზნით.

ტ. ჟივკოვი

(ბულგარეთი)

**ეკონომიკური** ურთიერთდახმარების საბჭო ეპოქის პირმშო, მხოფლიო სოციალისტური სისტემის პირმშოა.

ი. კადარი

(უნგრეთი)

**თანამშრომლობის** ოცდაათი წლის მანძილზე ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრმა ქვეყნებმა მსოფლიოში უმაგალითო დინამიკურ განვითარებას მიაღწიეს.

ე. ჰონეკერი

(გდრ)

**ისტორიამ** დაადასტურა, რომ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრობა გერმანიის მიწა-ნყალზე პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს სოციალისტური სახალხო მეურნეობის შექმნის ერთ-ერთი ფუძემდებელი პირობაა.

ი. ცედენბალი

(მონღოლეთი)

**ეკონომიკური** ურთიერთდახმარების საბჭო ხალხთა ერთიანი ოჯახის ნათელი კომუნისტური მომავლის სანინდარია!

გ. ჰუსაკი

(ჩეხოსლოვაკია)

**ახლა** ჩვენი თანამშრომლობა ყველაზე დინამიკური ეკონომიკური ძალაა თანამედროვე მსოფლიოში და მისი გავლენა ყველა კონტინენტის საზოგადოებრივ განვითარებაზე დღენიადაგ იზრდება და ღრმავდება!



ჩეხოსლოვაკია. მიმდინარე, მეექვსე ხუთწლედში თითქმის 40 პროცენტით გაიზრდება პლზენის ვ. ი. ლენინის სახელობის ცნობილი მანქანათსაშენებელი კომბინატის „შკოდას“ წარმოების მოცულობა. მისი პროდუქციის ძირითადი დამკვეთნი არიან სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები. ზემო სურათზე: ტურბინის მუშა თვალის აწყობა.



ბულგარეთი. მიმდინარე ხუთწლედში 2,5-ჯერ გაიზრდება ბულგარეთის ელექტრორეწველობის პროდუქციის ექსპორტი. ახლა ქვეყანას ერთ მოსახლეზე გაანგარიშებით მეექვსე ადგილი უკავია მსოფლიოში ელექტრო და ელექტროტექნიკური ნაწარმის წარმოებისა და ექსპორტის მხრივ. შუა სურათზე — სოფიის ქარხანა „ელექტრა“ ცენტრალურ საზომ ლაბორატორიაში.



კოლონეთი. ქვეყნის ქალაქ ხრუბაშუვის რაიონში საბჭოთა - საზღვრიდან მეტალურგიულ კომბინატ „კატოვიცემდე“ რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის თანამშრომლობის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა. ქვემო სურათზე — სარკინიგზო ხიდის მშენებლობა მაგისტრალის ერთ-ერთ უბანზე.

საკადესის ფოტოკორონიკა.

## მეგობრულ ვითარებაში

**28 ივნისს** ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის XXXIII სხდომასთან დაკავშირებით კრემლის ყრილობათა სასახლეში დარბაზობა გაიმართა.

დარბაზობას ესწრებოდნენ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის, დელეგაციათა მეთაურები და წევრები, იმ მეგობარი ქვეყნების დელეგაციების ხელმძღვანელები, რომლებიც მონაწილეობენ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობაში.

საბჭოთა კავშირს მხრივ დარბაზობაზე იყვნენ ამხანაგები ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ბ. ნ. პონომარიოვი, ნ. ა. ტიხონოვი, კ. ვ. რუსაკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები.

სტუმრებს მიესალმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი.

დელეგაციათა სახელით გამოვიდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. შტოფი.

დარბაზობამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საბ. დესი).

## საუბარი კრემლში

**28 ივნისს** კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი შეხვდა რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრს ი. ვერდეცს, რომელიც მეთაუოობდა რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციას ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის XXXIII სხდომაზე.

საუბრის დროს, რომელმაც საქმიან, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, გაიმართა აზრთა გაცვლა სხვადასხვა დარგში საბჭოთა კავშირ-რუმინეთის ურთიერთობის, მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების, საბჭოთა კავშირსა და რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკებს შორის ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს XXXIII სხდომაზე.

ა. ნ. კოსიგინისა და ი. ვერდეცის საუბარმა დაადასტურა, რომ სსრ კავშირისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობები ესწრაფვიან ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას.

## აი, რას გვაუწყებს ციფრები, ფაქტები პროგრესის, წინსვლის 30 წელი

**ეკონომიკური** ურთიერთდახმარების საბჭო — სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციაა, რომელშიც შედის ევროპის, აზიისა და ლათინური ამერიკის ათი სოციალისტური სახელმწიფო — ბულგარეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ვიეტნამი, კუბა, მონღოლეთი, პოლონეთი, რუმინეთი, საბჭოთა კავშირი, უნგრეთი და ჩეხოსლოვაკია; საბჭოს ზოგიერთი ორგანოს მუშაობაში მონაწილეობს იუგოსლავია; მეთვალყურეებად ესწრებიან კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, ლაოსი, ანგოლა, ეთიოპია.

**საბჭოს** წევრი ქვეყნების ტერიტორია 25,4 მილიონი კვადრატული კილომეტრია, ანუ მსოფლიოს მთელი ტერიტორიის 18,7 პროცენტი. ამ ტერიტორიაზე ცხოვრობს 437 მილიონი ადამიანი, ანუ პლანეტის მოსახლეობის 10,4 პროცენტი.

**ეკონომიკური** ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების წილი მსოფლიოს ეროვნულ შემოსავალში დაახლოებით 25 პროცენტია, ხოლო სამრეწველო პროდუქციის წარმოებაში — დაახლოებით ერთი მესამედი.

**გაერთიანებული** ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 1974 წელს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს მეთვალყურის სტატუსი მიანიჭა.

**სულ** უფრო მჭიდრო და ნაყოფიერი ხდება ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ურთიერთობა და თანამშრომლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკურ კომისიასთან — სრულიად ევროპის უმნიშვნელოვანეს ორგანოსთან, რომლის ფარგლებში თანამშრომლობს ამ რეგიონის სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური სისტემის 34 სახელმწიფო, გარდა ამისა, საბჭოს ახლა 78 განვითარებადს ქვეყანასთან აქვს ნაყოფიერი კავშირურთიერთობა.

**დიდია** ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს საერთაშორისო ავტორიტეტი. იგი მონაწილეობს, მაგალითად, ქვანახშირის მოპოვების ეფექტიანობის ზრდის ტექნიკურ-ეკონომიკური ასპექტების; შორ მანძილზე მილსადენებით გაზის ტრანსპორტირების; გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის ფარგლებში ელექტროენერგეტიკის დარგში ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ლექსიკონის გამოყენებით ტერმინოლოგიის შემუშავებისა და გამოცემის; აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ენერგოსისტემის შესაძლო პერსპექტიული გაერთიანების; მანქანათმშენებლობის სტრუქტურისა და მოწყობის; ევროპაში სამშენებლო ნორმების უნიფიცირების დარგში ევროპის ეკონომიკური კომისიის გრძელვადიანი პროგრამის შესრულების; ტრანსპორტის ტექნიკური განვითარების ძირითადი ტენდენციების; გარეშეს შესწავლის პრობლემების კვლევის და სხვა მრავალი უმნიშვნელოვანესი მეცნიერულ-პრაქტიკული თემების დამუშავებაში.

(დასასრული მე-2 გვ.).

## გაანცხადება

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ოცდამეათე ფლისთავის შესახებ

**ეკონომიკური** ურთიერთდახმარების საბჭოს — მსოფლიო ისტორიაში პირველი სოციალისტური ქვეყნების მრავალმხრივი ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის ორგანიზაციას 30 წელი შეუსრულდა. მთელი ამ წლების მანძილზე ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობა ადამიანის თვალში მოძმე ქვეყნების მჭიდრო ეკონომიკური კავშირურთიერთობის განვითარებას, სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობის ძლიერებისა და შეკავშირების განმტკიცებას, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის საქმეს.

30 წლის მანძილზე ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ხალხებმა თავიანთი კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით ძირეული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები განახორციელეს. მილიონობით ადამიანის თვალში ეს გარდაქმნები სოციალისტური წყობილების უპირატესობათა უდავო დადასტურება გახდა. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ყველა წევრ ქვეყანაში დაგროვდა სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობა, რომელიც წარმოების სამუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებას ეყრდნობა. იქმნება და ვითარდება სოციალიზმისა და კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. იხვეწება ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სახალხო მეურნეობის სტრუქტურა, სწრაფად ვითარდება ტექნიკური პროგრესისათვის საკვანძო სამრეწველო დარგები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მრავალი ძირითადი მიმართულებით ძიდწეულია უმაღლესი მსოფლიო დონე. სოციალისტურ საწყისებზე გარდაქმნა და გარდაქმნება სოფლის მეურნეობა.

წარმატებით ისახამს ხორცს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების სოციალური პროგრამები. სოციალისტური ცხოვრების წესმა სამუდამოდ გაათავისუფლა მშრომელები ექსპლოატაციისა და სოციალური ურწმუნოებისაგან, ეროვნული ჩაგვრისგან, ომებისგან, ეკონომიკური კრიზისებისგან, ინფლაციისგან, ფასების ეკონომიკური ანარქიისგან, ეროვნული ეკონომიკის ეტაპობრივ ეკონომიკურ ციკლებ

# გაანცხადება

## ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ოცდამეათე წლისთავის შესახებ

(დასასრული)

განუზრუნველყოფილია სრული დასაქმება, განუზრელად იზრდება მოსახლეობის რეალური შემოსავალი, ფართოვდება მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები, რომლებიც ხმარდება მშრომელთა უფასო განათლებას, სამედიცინო მომსახურებას, პენსიით უზრუნველყოფას, დასვენების ორგანიზაციას, სოციალიზმის ყველა ამ მონაპოვარმა მოძმე ქვეყნებში საიმედო კონსტიტუციური გარანტიები მიიღო.

ეს ისტორიული წარმატებანი იმის შედეგია, რომ თავდადებით შრომობს მუშათა კლასი, გლეხობა და ინტელიგენცია, რომ თითოეული კომუნისტური პარტია შემოქმედებითად იყენებს სოციალიზმის აშენების ზოგად კანონზომიერებებს თავისი ქვეყნის კონკრეტული სპეციფიკური პირობების შესაბამისად, ადასტურებს სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების უფლებებს აღმშენებლობითის შესაძლებლობებს.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების წარმატებანი მკვეთრად განსხვავდება იმ პროცესებისაგან, რომლებიც ახასიათებს მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის ქვეყნების მდგომარეობას. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ეროვნული შემოსავლისა და სამრეწველო პროდუქციის ზრდის ტემპი 1951-1978 წლებში სამჯერ უფრო სწრაფი იყო, ვიდრე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში. 30 წლის წინათ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნები აწარმოებდნენ მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის 18 პროცენტს, ახლა კი დაახლოებით მესამედს. მათ წილად წინათ მოდიოდა მსოფლიო ეროვნული შემოსავლის 15 პროცენტი, ახლა კი 25 პროცენტი მოდის. აშკარად ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნები თავიანთი კონკრეტული მიღწევებით პრაქტიკულად იხდაყოფენ სოციალისტური წყობილების უპირატესობას.

თითოეულ ქვეყანაში საწარმოო ძალების ინტენსიური განვითარება და წარმოებითი ურთიერთობის განუწყვეტელი სრულყოფა, საბჭოთა კავშირში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენება და განვითარების ამ უმაღლეს სტადიაში სოციალისტურ სახელმწიფოთა უმრავლესობის შესვლა ომისშემდგომი წლების მანძილზე სოციალიზმის პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების კანონზომიერი შედეგია.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესია, აჯამებს რა საბჭოს 30 წლის საქმიანობას და აღნიშნავს, თუ რა განუყრელი კავშირია ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ მიღწევებსა და მათი თანამშრომლობის განვითარებას შორის, დიდი ქმაყოფილებით აფასებენ, რომ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობაში. ისტორიაში პირველად, პრაქტიკულად შეესახა ხორცი ახალი ტიპის საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობას, რასაც საფუძვლად უდევს სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, სახელმწიფო სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ეროვნული ინტერესების პატივისცემის, ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, სრული თანასწორუფლებიანობის, ურთიერთსარგებლობისა და ამხანაგური ურთიერთდახმარების პრინციპები.

მმართველი კომუნისტური და მუშათა პარტიების მტკიცე კავშირი ის სამედო პოლიტიკური საფუძველია, რომელზეც დაყრდნობით სოციალისტური ქვეყნების ხალხები სრულყოფენ თავიანთ თანამშრომლობას, სულ უფრო მჭიდროდ აერთიანებენ თავიანთ მეცადინეობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. მათი დაუცხრომელი საქმიანობის მეოხებით ახდა დიდი ლენინის წინასწარმეტყველება ერთა მეგობრობისა და ძმური ურთიერთობის შესახებ, რასაც საფუძვლად უდევს ურთიერთგაგება და ურთიერთნდობა, ერთნაირი ძირეული ინტერესები და ნებაყოფლობითი თანხმობა. სოციალიზმის მიერ შექმნილი ადამიანთა საერთო ცხოვრების ახალი ფორმები სამაგალითოა მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის, განუზრელად იზრდება მისი გავლენა საერთაშორისო ვითარებაზე.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო, რომელიც წევრი ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური პროგრესის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია, ხელს უწყობს სუფერენულ სოციალისტურ სახელმწიფოთა ხალხების ყოველმხრივი მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის განვითარებასა და გაღრმავებას, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის მოწინავე გამოცდილების ათვისებას, ეკონომიკური განვითარების დონეთა თანდათანობით გათანაბრებას. ამ გზაზე მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრმა ვიეტნამის ქვეყნებმა. კუბის რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ხალხები სსრ კავშირისა და სხვა ძმა ქვეყნების ხელშეწყობით საფუძველს უყრიან თანამედროვე ინდუსტრიას.

თანამშრომლობის გაფართოება და გაღრმავება ყველა მოძმე ქვეყნის მუდმივი მეცადინეობის შედეგია. განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეიქმნა ამ საერთო საქმეში საბჭოთა კავშირს.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს 30 წლის ისტორიის ყველა ეტაპზე მისი საქმიანობა ყოველთვის მიზნად ისახავდა იმას, რომ კიდევ უფრო განემტკიცებინა სოციალისტური ქვეყნების ძმური თანამშრომლობა, გაემდიდრებინა იგი ახალი მეთოდებითა და ფორმებით, რომლებიც სულ უფრო სრულად და ეფექტიანად შეესაბამება ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანებს, ხელს უწყობს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის გზით მათი წინსვლის დაჩქარებას. მომძე ქვეყნებმა ჯერ საქონლის ურთიერთმიწოდება შეათანხმეს, შემდეგ კი თანადათანობით გადავიდნენ ეკონომიკური ურთიერთობის უფრო მაღალ კომპლექსურ ფორმებზე, რომელიც მოიცავს წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის მთელ დარგებს.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ცხოვრებაში ნამდვილად ისტორიული მოვლენა იყო საბჭოს XXIII (სპეციალური) სესია, რომელიც 10 წლის წინათ გაიმართა. მან განსაზღვრა ეკონომიკური გამოცდილების, ფუნდამენტური კვლევის მიღწევების ფართო გაზიარებას. მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში თანამშრომლობამ დაჩქარა მოძმე ქვეყნების ტექნიკური პროგრესის ტემპი. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების შესანიშნავი გამარჯვებანი „ინტერკოსმოსის“ პროგრამის შესრულებაში, 1978 წელს დაწყებული ინტერნაციონალური ეკიპაჟების ფრენა დედამიწის ირგვლივ სივრცეში სიმბოლურად გამოხატავს სოციალისტური ქვეყნების დიდ მიღწევებს მეცნიერების დარგში.

სიმძლავრითა და სიგრძით უნიკალური ნავთობსადენი „მეგობრობა“ და გაზსადენი „სოიუზი“; ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ევროპის ქვეყნებისა და სსრ კავშირის ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემათა გაერთიანება; „მწკრივის“ ტიპის ერთიანი სისტემის თანამედროვე ელექტრონული გამომთვლელი მანქანების შემოშავება და წარმოება; ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების თანამშრომლობა ტრანსპორტის დარგში და მათ მიერ შექმნილი სატვირთო ვაგონების საერთო პარკი; დუბნის ბირთვული კვლევის ინსტიტუტი, რომელიც ერთიანებს სოციალისტურ სახელმწიფოთა მეცნიერების მეცადინეობას და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი წამყვანი მიმართულებით; საერთო მეცადინეობით ისეთი უდიდესი ობიექტების აგება, როგორიც არის უსტ-ილიმსკის ელულოზის ქარხანა და კიემბაევის აზბესტის კომბინატი სსრ კავშირში, სპილენძ-მოლიბდენის კომბინატი „ერდენეტი“ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში, ნიკელის ქარხნები კუბაში; ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ევროპის ქვეყნებსა და კუბაში სსრ კავშირის ტექნიკური ხელშეწყობით 37 მილიონი კილოვატი საერთო სიმძლავრის ატომური ელექტროსადგურების შენებლობის დასახული პროგრამა — ასეთია წარმოების, მეცნიერების, ტექნიკის სხვადასხვა დარგში ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მჭიდრო ნყოფიერი თანამშრომლობის ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი.

ადამიანის საქმიანობის მთავარ სფეროში — მატერიალურ წარმოებაში მრავალმხრივი ურთიერთმოქმედების განვითარების შედეგად ამოქმედდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ევროპის ქვეყნებისა და სსრ კავშირის ეროვნულ ელექტროენერგეტიკულ სისტემათა გაერთიანება; „მწკრივის“ ტიპის ერთიანი სისტემის თანამედროვე ელექტრონული გამომთვლელი მანქანების შემოშავება და წარმოება; ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების თანამშრომლობა ტრანსპორტის დარგში და მათ მიერ შექმნილი სატვირთო ვაგონების საერთო პარკი; დუბნის ბირთვული კვლევის ინსტიტუტი, რომელიც ერთიანებს სოციალისტურ სახელმწიფოთა მეცნიერების მეცადინეობას და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი წამყვანი მიმართულებით; საერთო მეცადინეობით ისეთი უდიდესი ობიექტების აგება, როგორიც არის უსტ-ილიმსკის ელულოზის ქარხანა და კიემბაევის აზბესტის კომბინატი სსრ კავშირში, სპილენძ-მოლიბდენის კომბინატი „ერდენეტი“ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში, ნიკელის ქარხნები კუბაში; ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ევროპის ქვეყნებსა და კუბაში სსრ კავშირის ტექნიკური ხელშეწყობით 37 მილიონი კილოვატი საერთო სიმძლავრის ატომური ელექტროსადგურების შენებლობის დასახული პროგრამა — ასეთია წარმოების, მეცნიერების, ტექნიკის სხვადასხვა დარგში ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მჭიდრო ნყოფიერი თანამშრომლობის ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი.

ადამიანის საქმიანობის მთავარ სფეროში — მატერიალურ წარმოებაში მრავალმხრივი ურთიერთმოქმედების განვითარების შედეგად ამოქმედდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების ქსელი, რომლებიც უშუალო თანამშრომლობაში აბამენ სხვადასხვა ქვეყნის სამინისტროებს, საწარმოებსა და გაერთიანებებს და სულ უფრო მჭიდროდ უკავშირებენ თავიანთ საქმიანობას ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ორგანოების მუშაობას.

დამყარებულია და დღეითადაგ უმჯობესდება საგარეო-სავაჭრო, სავალუტო-საფინანსო და საკredიტო ურთიერთობა, რომელიც სტიმულს აძლევს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის გეგმიან გაღრმავებასა და განვითარებას და ხელს უწყობს ამ ქვეყნების მეცადინეობას, ფილონ ნედელეულზე, საათობრივ, სათბობსა და ენერგიაზე, მანქანებზე, [illegible] ყობილობასა და თანამედროვე ტექნოლოგიაზე, რაციონალური [illegible] მოთხოვნილებანი; გააუმჯობესოს [illegible] მოსახლეობის მომარაგება სურსათითა და სახალხო მოხმარების სამრეწველო საქონლით; შექმნან ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ტრანსპორტის ეფექტიანი და ტექნიკურად სრულყოფილი ქსელი მათი სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნებისა და ურთიერთთანამშრომლობის შესაბამისად.

ამ მიზნით ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნები ახორციელებენ სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაციას, ადგენენ მრავალმხრივ საინტეგრაციო ღონისძიებათა შეთანხმებულ გეგმას. აგრეთვე ამუშავებენ წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების ორმხრივ გრძელვადიან პროგრამებს 1981-1990 წლებისათვის.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნები და ამ საბჭოს ორგანოები მომავალში აქტიურად, შემოქმედებითად გამოძებნიან თანამშრომლობის ახალ ეფექტიან ფორმებსა და მეთოდებს, კვლავაც სრულყოფენ საბჭოს საქმიანობას და წარმართავენ მას ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის ბაზაზე. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ტრანსპორტის ეფექტიანი და ტექნიკურად სრულყოფილი ქსელი მათი სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნებისა და ურთიერთთანამშრომლობის შესაბამისად.

ამ მიზნით ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნები ახორციელებენ სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაციას, ადგენენ მრავალმხრივ საინტეგრაციო ღონისძიებათა შეთანხმებულ გეგმას. აგრეთვე ამუშავებენ წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების ორმხრივ გრძელვადიან პროგრამებს 1981-1990 წლებისათვის.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნები ამ საბჭოს ორგანოები მომავალში აქტიურად, შემოქმედებითად გამოძებნიან თანამშრომლობის ახალ ეფექტიან ფორმებსა და მეთოდებს, კვლავაც სრულყოფენ საბჭოს საქმიანობას და წარმართავენ მას ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის ბაზაზე. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ტრანსპორტის ეფექტიანი და ტექნიკურად სრულყოფილი ქსელი მათი სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნებისა და ურთიერთთანამშრომლობის შესაბამისად.

ამ მიზნით ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნები ახორციელებენ სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაციას, ადგენენ მრავალმხრივ საინტეგრაციო ღონისძიებათა შეთანხმებულ გეგმას. აგრეთვე ამუშავებენ წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების ორმხრივ გრძელვადიან პროგრამებს 1981-1990 წლებისათვის.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნები ამ საბჭოს ორგანოები მომავალში აქტიურად, შემოქმედებითად გამოძებნიან თანამშრომლობის ახალ ეფექტიან ფორმებსა და მეთოდებს, კვლავაც სრულყოფენ საბჭოს საქმიანობას და წარმართავენ მას ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის ბაზაზე. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებს მზარდი [illegible] ურთიერთდახმარების [illegible] ეკონომიკური [illegible] ეკონომიკური [illegible] ეკონომიკური

# გზა დაგელოცოთ!



**და, აი დადგა მესამე**
**შრომითი სემესტრი**

ჩვეულებრივზე ადრე „გამოიღვიძა“ საქართველოს დედაქალაქის ეზაზლის მოედანმა. განთიადისაკენ შეკრებნენ აქ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებმაც წელს პირველებმა ჩაიცვეს სრულიად საკავშირო სამშენებლო რაზმის მებრძოლთა ფორმა, გზის დასალოცად უნივერსიტეტის შრომითი ლესტნტისათვის, რომელიც აგერ უკვე მეოცედ მიეგზავნება რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, მოიყვანენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. კ. შარტავა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი დ. ჩხეიკვაშვილი, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორები და მასწავლებლები, პარტიული და კომკავშირული მუშაკები, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

უნივერსიტეტის რაზმის „საქართველო — 79“ მეთაურის, სკკპ ისტორიის კათედრის დოკენტისათვის როლანდ ჯანაშიასათვის წლევანდელი შრომითი ზაფხული მეთორმეტეა მის ბიოგრაფიაში. იგი ოთხჯერ იყო ყამირზე რიგით მებრძოლად, ოთხჯერ კომისრად, და აი უკვე მეხუთჯერ მიემგზავრება ნაკრები რაზმის მეთაურად.

ჩვენს რაზმში 700 მოხალისეა, — ამბობს რ. ჯანაშია, — ჩვენი მთავარი ობიექტი ამჯერად იქნება სმოლენსკის ატომური ელექტროსადგური — მეათე ხუთწლედის ასამოქმედებელი ობიექტი. ჩვენი ყმაწვილების თითქმის ნახევარი, ამ დიდმნიშვნელოვან მშენებლობაზე იშრომებს. ჩვენ უნდა შევასრულოთ 1200 ათასი მანეთის სამუშაო, მაგრამ ვალდებულება ვიკისრეთ მილიონ ნახევრამდე გავზარდოთ ეს ციფრი.

დიდი ჯაფა მოელის უნივერსიტეტის რაზმის კომისარსაც, ეკონომიკური ფაკულტეტის ასპირანტს დემურ ბერიძეს. გამობრძმედილმა „ყამირელმა“ თავის აქტივთან ერთად წინასწარვე იზრუნა ომისათვის, რომ მთელი შრომითი სემესტრის მანძილზე ჩქეფდეს რაზმში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება.

... ტრადიციისამებრ უნივერსიტეტის რაზმის მებრძოლები საზეიმო ხაზზე ეწყობიან. იწყება მიტინგი, რომელიც გახსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა დ. ბუჩკულაძემ. სტუდენტებს გულთბილად დაულოცეს გზა ყამირის ერთ-ერთმა პიონერმა ლ. ჯალავამ, საბჭოთა კავშირის გმირმა, უნივერსიტეტის დოცენტმა დ. ჯაბიძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა დ. ჩხეიკვაშვილმა. რაზმის მებრძოლთა სახელით ეკონომიკური ფაკულტეტის პირველკურსელმა გ. გიორგაძემ დამსწრეთ აღუთქვა, რომ იგი და მისი ამხანაგები ენერგიასა და ძალ-ღონეს არ დაიშურებენ ომისათვის, რომ ეთილი კვალი დატოვონ სპოლენსკის მიწაზე.

8 საათი და 30 წუთია. სპეციალური მატარებელი თბილისი-იაროსლავლი ნელა იძვრის ადგილიდან. „გზა დაგელოცოს „საქართველო-79“. გამარჯვებით დაბრუნებულიყავით“, — ასეთი სიტყვებია წარწერილი ვაგზლის ბაქანზე „აღმართულ ალისფერ ტრანსპარანტზე.

**სურათზე: საზეიმო ხაზი გამგზავრების წინ.**

**ნ. ვარდიაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).**

# სათავე

**1979 წლის** 28 ივნისი, ხუთშაბათი სამუდამოდ დარჩება სამახსოვროდ ქალაქშვილისა და ჭაბუკის მეხსიერებაში, როგორც ათეული, მათი დიდი დამოუკიდებელი ცხოვრების ღირსსახსოვარი თარიღი. ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინათ ისინი თხზულებებს წერდნენ და ფორმულებს იყუანდნენ სოხუმისა და ახმეტის, ცხინვალისა და ასპინძის სკოლებში. დღეს კი რესპუბლიკის ყველა კუთხიდან თავი მოიყარეს თბილისში, სადაც მათ საუკეთესო სწავლისათვის უმაღლესი ჯილდოები ოქროს მედლები ელოდათ.

საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში შეკრებილ ახალგაზრდებს მედლები გადასცა რესპუბლიკის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. შარტავამ.

მედალოსნებს ზეიმით შეხვდნენ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, სსრ კავშირის სალხთა მეგობრობის მუზეუმში, ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში. აქ ასი საუკეთესო სკოლის დამთავრების ატესტატები გადასცეს რესპუბლიკის განათლების მინისტრმა ო. ჭიჭლაძემ და სხვა ხელმძღვანელებმა.

შემდეგ კი მასწავლებლებთან ერთად აღელვებულმა და ბედნიერებულმა ბავშვებმა სადღესასწაულო საღამოზე თავი მოიყარეს პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის თეატრალურ დარბაზში. მათ გზა დაულოცეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ე. ხარაძემ. სოციალისტური შრომის გმირებმა გ. კურტანიძემ და ვ. ქმარაშვილმა. საღამოს დასასრულს გამოვიდა ანსამბლი „მზიურის“ უმცროსი ჯგუფი.

(საქინფორმი).

# ფრენა პროგრამით

**ფრენის მართვის ცენტრი,** 29 ივნისი. (საკადესი). „სალუტი-6“ — „სოიუზ-34“ ორბიტულ კომპლექსში ვლადიმერ ლიახოვისა და ვალერი რიუმინის ფრენის მეთვრამეტე კვირა მთავრდება.

28 და 29 ივნისს კოსმონავტები განაგრძობდნენ ვიზუალურ დაკვირვებებსა და დედამიწის ზედაპირისა და მსოფლიო ოკეანის ავტორიის ფოტოგადაღებას. კერძოდ, გადაიღეს საბჭოთა კავშირის ტერიტორიის სამხრეთი ნაწილის, ალტაის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის რაიონების ფოტოსურათები. კავშირის სეანსებში ეკიპაჟმა დაკვირვების მონაცემები გააცნო მართვის ცენტრში მყოფ სატყეო მეურნეობის სპეციალისტს.

„შენადნობის“ დანადგარზე შესრულეს კოსმოსური მასალათმცოდნეობის კიდევ ერთი ექსპერიმენტი. დღის განმავლობაში ეკიპაჟმა „პროგრეს-6“ სატვირთო ხომალდით მოტანილი ვენტილატორით შეცვალა მავნე მინარევების ფილტრის ვენტილატორი, რომელსაც გამოელია გამომუშავებული რესურსი, და გაზომა ხმაურის დონე სადგურის ნაკვეთურებში.

დღეს კომპლექსში დაგეგმილია მორიგი ტექნოლოგიური ექსპერიმენტი „კრისტალის“ დანადგარზე, სადგურის სათავსების ტენიანობი დასუფთავება, ფიზიკური ვარჯიშები.

ეკიპაჟის მოხსენებებითა და ტელემეტრიული მონაცემებით, „სალუტ-6“ — „სოიუზ-34“ პილოტირებული კომპლექსის საბორტო სისტემები და სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

კოსმონავტები ვლადიმერ ლიახოვი და ვალერი რიუმინი თავს კარგად გრძნობენ.

□

გრძელდება დედამიწისირგვლივ ორბიტაზე 28 ივნისს გაყვანილი „პროგრეს-7“ სატვირთო სატრანსპორტო ხომალდის ავტონომიური ფრენა.

მოძრაობის ტრაექტორიის კორექტირების შემდეგ ხომალდის ორბიტის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 346 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 275 კილომეტრი;

— გარშემოვლის პერიოდი — 90,6 წუთი;

— დახრილობა — 51,6 გრადუსი.

„პროგრეს-7“ ავტომატური სატვირთო ხომალდის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

# მ. გ. ჩიქოვანი

**ეროვნული ბიბლიოთეკა**

ბანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 68 წლისა გარდაიცვალა სკკპ წევრი 1932 წლიდან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი მიხეილ გერასიმეს ძე ჩიქოვანი.

მ. გ. ჩიქოვანმა შრომითი საქმიანობა მუშად დაიწყო 1925 წელს. შემდეგ იგი არაერთგზის აურჩევიათ კომკავშირული, მერე კი პარტიული ორგანოების პასუხსაგებ თანამდებობებზე—იყო უზბეკეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, უზბეკეთის კომპარტიის ტაშკენტის საოლქო კომიტეტის მდივანი, სამარყანდის საოლქო კომიტეტის მდივანი, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოადგილე.

დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე მ. გ. ჩიქოვანი ფრონტზე წავიდა და ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღემდე ხელმძღვანელობდა დიდი საჯარისო ნაწილებისა და შენაერთების პოლიტიკურ განყოფილებათა მუშაობას.

ომისშემდგომ წლებში მ. გ. ჩიქოვანი კვლავ პარტიულ სამუშაოზეა. იგი სათავეში უდგას უზბეკეთის კომპარტიის ტაშკენტის საქალაქო კომიტეტს, მუშაობს პასუხსაგებ თანამდებობებზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში.

1953-1958 წლებში ჩიქოვანი იყო პარტიის ხოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ხოლო 1958 წელს დაინიშნა აფხაზეთის სსრ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.

1967 წლიდან 1975 წელს პენსიაში გასვლამდე ეროვნული ეკონომიკური საკავშირო საბჭოს მეთაურად, ანუ ეროვნული ეკონომიკის სტატისტიკურ ორგანოებად ... ეროვნული ეკონომიკის სტატისტიკურ ორგანოებად ... ეროვნული ეკონომიკის სტატისტიკურ ... ეროვნული ეკონომიკის ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 1979-1980 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

**I. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘ** (უᲜ. ჩხეიძის ქ. № 8) **დღის განყოფილების სპეციალობებზე:** 1. კერამიკის ტექნოლოგია, 2. არქიტექტურა, 3. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა, 4. გაზის მეურნეობა, 5. შენობების სანტექნიკური მოწყობილობა, 6. სოფლის დასახლებული ადგილების არქიტექტურა.

**დაუსწრებელი განყოფილების სპეციალობებზე:** 1. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა, 2. გაზის მეურნეობა.

**II. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲤᲘᲗᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡᲐᲜᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲗᲐᲛᲨᲝᲕᲔᲑᲚᲝᲒᲘ Ს ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘ** (კამოს ქ. № 70) **დღის განყოფილების სპეციალობებზე:** 1. ელექტროსადგურები, ქსელები და სისტემები, 2. სამრეწველო საწარმოთა და დანადგარების ელექტრომოწყობილობა, 3. ლითონების ჭრით დამუშავება, 4. შედუღების წარმოების ტექნოლოგია, 5. თვითმფრინავმშენებლობა, 6. ელექტრომანქანათმშენებლობა, 7. საფრენი აპარატების რადიოელექტრომოწყობილობის მონტაჟი.

**საღამოს განყოფილების სპეციალობებზე:** 1. თვითმფრინავმშენებლობა, 2. საფრენი აპარატების რადიოელექტრომოწყობილობის მონტაჟი, 3. ლითონების ჭრით დამუშავება, 4. სამრეწველო საწარმოთა და დანადგარების ელექტრომოწყობილობა.

**დაუსწრებელი განყოფილების სპეციალობებზე,** 1. ლითონების ჭრით დამუშავება, 2. სამრეწველო საწარმოთა და დანადგართა ელექტრომოწყობილობა.

**III. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲚᲛᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘ** (ქერჩის ქ. № 6) **დღის განყოფილების სპეციალობებზე. 1.** საფეიქრო მრეწველობის მანქანები და მოწყობილობა; 2. ქსოვის წარმოება, 3. სამკერვალო წარმოება, 4. ტყავის ნაწარმის ტექნოლოგია, 5. შალის დართვის წარმოება, 6. ქსოვილების გამოყვანა, 7. ბამბის დართვა; 8. ტრიკოტაჟის წარმოება, 9. აბრეშუმის ძაფის ამოღება და გრეხვა.

**საღამოს სწავლების სპეციალობებზე:** 1. ქსოვის წარმოება, 2. სამკერვალო წარმოება, 3. ბამბის დართვა, 4. ტყავის ნაწარმის ტექნოლოგია.

**IV. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ Ი. ᲒᲝᲒᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲔᲓᲐᲒᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ** (ალ. ᲭᲐᲮᲩᲘᲐᲜᲘᲡ ქ. № 19) **დღის განყოფილების სპეციალობაზე:** 1. აღწრდა სკოლამდელ დაწესებულებებში.

**V. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘ** (II პიონერის ქ. № 10) **დღის განყოფილების სპეციალობებზე:** 1. ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მანქანები და მოწყობილობა; 2. სამაცივრო-საკომპრესორო მანქანები და დანადგარები, 3. საქმლის მომზადების ტექნოლოგია, 4. საქონელმცოდნეობა და სამრეწველო საქონლის ვაჭრობის ორგანიზაცია, 5. საქონელმცოდნეობა და სასურსათო საქონლის ვაჭრობის ორგანიზაცია, 6. საბუღალტრო აღრიცხვა ვაჭრობაში.

**დაუსწრებელი განყოფილების სპეციალობებზე:** 1. საქმის მომზადების ტექნოლოგია, 2. საქონელმცოდნეობა და სასურსათო საქონლის ვაჭრობის ორგანიზაცია, 6. საბუღალტრო აღრიცხვა.

**VI. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘ** (თბილისი დასახლება, მე-11 მიკრორაიონი) **დღის განყოფილების სპეციალობებზე:** 1. სამრეწველო საწარმოთა თბოტექნიკური მოწყობილობა, 2. ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვა, 3. ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი, 4. საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლოატაცია, 5. საავტომობილო გზების შენებლობა და ექსპლოატაცია, 6. ელექტრონული გამომთვლელი მანქანები, ხელსაწყოები და მოწყობილობა.

**საღამოს სწავლების სპეციალობებზე:** 1. ელექტრონული გამომთვლელი მანქანები, ხელსაწყოები და მოწყობილობა.

**დაუსწრებელი სწავლების სპეციალობებზე:** 1. საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლოატაცია, 2. ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი.

**VII. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲚᲝ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘ** (ქავთარაძის ქ. № 16) **დღის განყოფილების სპეციალობებზე.** 1. დაგეგმვა საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში, 2. დაგეგმვა მშენებლობაში, 3. მანქანათმშენებლობის მრეწველობის საწარმოთა დაგეგმვა, 4. საბუღალტრო აღრიცხვა, 5. აღრიცხვისა და გამოთვლითი სამუშაოების მექანიზაცია, 6. საქმის წარმოების ორგანიზაცია, 7. სამართალმცოდნეობა და აღრიცხვა სოცუზრუნველყოფის სისტემაში, 8. სამართალმცოდნეობა.

**დაუსწრებელი განყოფილების სპეციალობაზე:** 1. სამართალმცოდნეობა და აღრიცხვა სოცუზრუნველყოფის სისტემაში.

**VIII. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲐᲛᲨᲘᲠᲒᲐᲖᲒᲣᲚᲝᲒᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘ**

(ოქტომბრის ქ. № 2) **დღის განყოფილების სპეციალობებზე:** 1. რადიოკავშირი და რადიომაუწყებლობა, 2. სატელევიზიო ტექნიკა და რადიოსარელეო კავშირი, 3. რაიონის ელექტროკავშირი და რადიოფიკაცია, 4. საფოსტო კავშირი, 5. ავტომატური ელექტროკავშირი, 6, მრავალარხიანი ელექტროკავშირი.

**დაუსწრებელი განყოფილების სპეციალობებზე:** 1. რადიოკავშირი და რადიომაუწყებლობა, 2. საფოსტო კავშირი, 3. მრავალარხიანი ელექტროკავშირი, 4. ავტომატური ელექტროკავშირი,

**IX. ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲙᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘ** (გაგარინის ქ. № 25) **დღის განყოფილების სპეციალობებზე:** 1. ფოლადის წარმოება, 2. გლინვის წარმოება, 3. საბრძმედე წარმოება, 4. მეტალურგიული ქარხნების მოწყობილობა, 5. ავტომატური მოწყობილობის ექსპლოატაცია მეტალურგიაში, 6. არაორგანულ ნივთიერებათა და ქიმიური სასუქების ტექნოლოგია, 7, ორგანული სინთეზის ტექნოლოგია, 8. ქიმიური ბოჭკოების ტექნოლოგია, 9. შავი ლითონების სამსხმელო წარმოება.

**საღამოს განყოფილების სპეციალობაზე:** 1. ორგანული სინთეზის ტექნოლოგია.

**X. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲠᲐᲢᲐᲠᲝᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘ** (რუსთაველის ქ. № 9) **დღის განყოფილების სპეციალობებზე:** 1. სამრეწველო საწარმოთა და დანადგარების ელექტრომოწყობილობა, 2. სატეფორო-საჭე წარმოება, 3. ლითონების ჭრით დამუშავება, 4. საიარაღო წარმოება, 5. ავტომშენებლობა, 6. ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი, 7. შავი ლითონების სამსხმელო წარმოება.

**საღამოს განყოფილების სპეციალობებზე:** 1. შავი ლითონების სამსხმელო წარმოება, 2. ავტომშენებლობა, 3. ლითონების ჭრით დამუშავება.

**XI. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘ**

(ახალგაზრდობის გამზირი № 88) **დღის განყოფილების სპეციალობებზე:** 1. ხე-ტყის დამზადების ტექნოლოგია, 2. საავეჯო წარმოება, 3. საავტომობილო გზების მშენებლობა და ექსპლოატაცია, 4. სატყეო მრეწველობის და სატყეო მეურნეობის საწარმოთა დაგეგმვა, 5. ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა დაგეგმვა, 6. სამაცივრო-საკომპრესორო მანქანები და დანადგარები.

**დაუსწრებელი განყოფილების სპეციალობაზე:** 1. საავეჯო წარმოება.

**XII. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲝ-ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘ**

(1905 წლის რევოლუციის ქ. № 2) **დღის განყოფილების სპეციალობებზე:**

1. მადნეული და არამადნეული საბადოების მოწისქვეშა დამუშავება. 2. სამთო ელექტრომექანიკა, 3. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა, 4. შენობების სანტექნიკური მოწყობილობა, 5. სამთო საწარმოთა მშენებლობა.

**დაუსწრებელი განყოფილების სპეციალობებზე:** 1. სამთო ელექტრომექანიკა, 2. სამთო საწარმოთა მშენებლობა, 3. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა.

**XIII. ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ Მ. ᲒᲝᲠᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲠᲔᲕᲚᲝᲒᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘ**

(მშვიდობის ქ. № 8) **დღის განყოფილების სპეციალობებზე:** 1. კვების მრეწველობის საწარმოთა მანქანები და მოწყობილობა, 2. პურის ცხობის წარმოება, 3. ჩაის ტექნოლოგია, 4. კვების მრეწველობის საწარმოთა დაგეგმვა.

**XIV. ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲙᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘᲡ**

(სოხუმის ქ. № 2 ა) **დღის განყოფილების სპეციალობებზე:** 1. დაკონსერვების ტექნოლოგია, 2. ჩაის ტექნოლოგია, 3. საბუღალტრო აღრიცხვა, 4. კერამიკის ტექნოლოგია, 5. ჰიდროტექნიკური მშენებლობა, 6. ცელულოზა-ქაღალდის წარმოება, 7. სამშენებლო მანქანები და მოწყობილობა.

**დაუსწრებელი განყოფილების სპეციალობებზე:** 1. სამშენებლო მანქანები და მოწყობილობა.

**XV. ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘᲡ** (კუბინი შ ეკის ქ. № 24) **დღის განყოფილების სპეციალობებზე:** 1. სამრეწველო საწარმოთა და დანადგარების ელექტრომოწყობილობა, 2. ლითონების ჭრით დამუშავება, 3. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა.

**საღამოს განყოფილების სპეციალობებზე:** 1. სამრეწველო საწარმოთა და დანადგარების ელექტრომოწყობილობა, 2. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა.

**XVI. ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘ** (მოსკოვის ქ. № 119) **დღის განყოფილების სპეციალობებზე:** 1. საქმლის მომზადების ტექნოლოგია, 2. საქონელმცოდნეობა და სამრეწველო საქონლის ვაჭრობის ორგანიზაცია, 3. საქონელმცოდნეობა და სასურსათო საქონლის ვაჭრობის ორგანიზაცია, 4. საბუღალტრო აღრიცხვა ვაჭრობაში.

**დაუსწრებელი განყოფილების სპეციალობებზე:** 1. საქონელმცოდნეობა და სამრეწველო საქონლის ვაჭრობის ორგანიზაცია, 2. საქონელმცოდნეობა და სასურსათო საქონლის ვაჭრობის ორგანიზაცია.

**XVII. ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘᲡ**

(9 მარტის ქ. № 10) **დღის განყოფილების სპეციალობებზე:**

1. ლითონების ჭრით დამუშავება, 2. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა.

**XVIII. ᲑᲠ. ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲠᲝᲛᲔᲚᲘᲝᲠᲐᲪᲘᲝᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘᲡ** (კიროვის ქ. № 22) **დღის განყოფილების სპეციალობებზე:**

1. ჰიდრომელიორაცია, 2. ჰიდრომელიორაციულ სამუშაოთა მექანიზაცია, 3. სასოფლო-სამეურნეო და სამოქალაქო მშენებლობა, 4. გემების მანქანები და მექანიზმები.

**საღამოს განყოფილების სპეციალობაზე:** 1. გემების მანქანები და მექანიზმები.

**XIX. ᲡᲐᲑᲐᲠᲔᲯᲝᲡ ᲙᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘᲡ** (ქ. საგარეჯო) **დღის განყოფილების სპეციალობებზე:** 1. ჰიდრომელიორაცია, 2. სასოფლო-სამეურნეო და სამოქალაქო მშენებლობა, 3. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, 4. საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლოატაცია, 5. საქონელმცოდნეობა, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და გასაღება.

**დაუსწრებელი განყოფილების სპეციალობაზე:** 1. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.

**XX. ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲢᲧᲝᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘᲡ** (საჭოს ქ. № 21) **დღის განყოფილების სპეციალობებზე:** 1. სატყეო მეურნეობა, 2. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა, 3. საავეჯო წარმოება, 4. სასტუმრო მეურნეობა.

**XXI. ᲩᲘᲝᲠᲝᲬᲧᲣᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘᲡ**

(დ. ჩხოროწყუ) **დღის განყოფილების სპეციალობებზე:** 1. კვების მრეწველობის საწარმოთა მანქანები და მოწყობილობა, 2. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.

**XXII. ᲙᲐᲚᲐᲪᲘᲡ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘᲡ** (პირველ მაისის ქ. № 8) **დღის განყოფილების სპეციალობებზე:** 1. მჭიდა მასალების ტექნოლოგია, 2. საშენ მასალათა მრეწველობის მანქანები და მოწყობილობა, 3. ელექტრო[illegible] აპარატთმშენებლობა, 4. საძრეწველო სწავლებისა და დანადგარების ელექტრომოწყობილობა.

**XXIII. ᲥᲐᲠᲔᲚᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘᲡ** (ახალგაზრდობის ქ. № 5) **დღის განყოფილების სპეციალობებზე:** 1. დაკონსერვების ტექნოლოგია, 2. ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი.

**XXIV. ᲭᲘᲗᲣᲚᲘᲡ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘᲡ** (ცირეკიძის ქ. № 1) **დღის განყოფილების სპეციალობებზე:** 1. სამრეწველო საწარმოთა და დანადგარების ელექტრომოწყობილობა, 2. ლითონების ჭრით დამუშავება, 3. ქვანახშირის საბადოთა მიწისქვეშა დამუშავება.

**XXV. ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲗᲐᲛᲨᲝᲕᲔᲑᲚᲝᲒᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘᲡ** (ლანჩხუთი) **დღის განყოფილების სპეციალობებზე:** 1. ლითონების ჭრით დამუშავება, 2. რადიოსპარატმშენებლობა.

**XXVI. ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘᲡ** (წრიული ქუჩა № 22) **დღის განყოფილების სპეციალობებზე:** 1. ჰიდროტექნიკური მშენებლობა, 2. ლითონებისა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციების მონტაჟი, 3. წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელების და ნაგებობათა მშენებლობა, 4. სამშენებლო და რკინა-ბეტონის კონსტრუქციების წარმოება, 5. მეტეოროლოგია.

**რვაწლიანი სკოლის ბაზაზე** — — მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ეკონომიკის სპეციალობებზე შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს ამბრეიენ ქართულ ენასა (წაკითხული მოთხრობის შინაარსი) და მათემატიკაში (ზეპირი).

**საშუალო სკოლის ბაზაზე** — ა) მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის და ჰიდრომელიორაციულ სამუშაოთა მექანიზაციის სპეციალობებზე შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს ამბრეენ ქართულ ენასა და ლიტერატურაში (თხზულება) და მათემატიკაში (ზეპირი).

ბ) ქიმიური ტექნოლოგიის, მეტალურგიის, ქაღალდისა და ცელულოზის ტექნოლოგიის, სასურსათო პროდუქტების ტექნოლოგიის, საქონელმცოდნეობის, სატყეო მეურნეობის, ტყავის ტექნოლოგიის, ქსოვილების გამოყენების სპეციალობებზე შემსვლელნი — ქართულ ენასა და ლიტერატურაში (თხზულება), ქიმიაში (ზეპირი).

გ) სასტუმრო მეურნეობის, აღზრდა სკოლამდელ დაწესებულებებში, სამართალმცოდნეობა და აღრიცხვა სოცუზრუნველყოფის სისტემის სპეციალობებზე შემსვლელნი — ქართულ ენასა და ლიტერატურაში (თხზულება), სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი).

**3. უგამოცდოდ ჩაირიცხებიან:**

ა) მოსწავლეები, რომლებმაც დაამთავრეს რვაწლიანი სკოლა და დაჯილდოებული არიან ქების სიგელით (ფურცლით), მოსწავლეები, რომლებმაც დაამთავრეს საშუალო სკოლა და დაჯილდოებული არიან ოქროს ან ვერცხლის მედლით, აგრეთვე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულები, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი.

ბ) სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარებისა და ორგანოების ოფიცრები, პროპორშჩიკები და მიჩმანები, რომლებიც ავადმყოფობის, ასაკისა და შტატების შემცირების გამო სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი და თადარიგში გასული არიან (დათხოვნიდან ორი წლის განმავლობაში).

გ) საშუალო სკოლადამთავრებულები, რომლებიც ცალკეული საგნების შესწავლაში განსაკუთრებული წარმატებისათვის დაჯილდოებული არიან ქების სიგელით, თუ ამ საგნებში გათვალისწინებულია მისაღები გამოცდები.

4. იმათ, ვინც საშუალო სკოლა წინა წლებში დაამთავრა და დღის დასწრებულზე შედის, ყოველი იმ წლისათვის, როცა არ სწავლობდა, უნდა ჰქონდეთ პრაქტიკული მუშაობის არანაკლები 6 თვის სტაჟი.

**5. განცხადება მიღების შესახებ უნდა შეიტანოთ საშუალო სპეციალური სასწავლებლის დირექტორის სახელზე ერთიანი ფორმით. განცხადებას დაერთვის:** დოკუმენტები რვაწლიანი ან საშუალო განათლების შესახებ (დედანი), სამედიცინო ცნობა — ფორმა 286; ოთხი ფოტოსურათი (უქუდოდ, ზომა 3X4 სმ); სასწავლებელში შემსვლელი პირადად წარმოადგენს დაბადების მოწმობას, პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას.

**6. განცხადების მიღება არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის იწარმოებს 31 ივლისამდე, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის — 14 აგვისტომდე.**

**მისაღები გამოცდები დაიწყება პირველ აგვისტოს.**

**დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სასწავლებლების დირექციებს.**

## ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲞᲝᲕᲔᲑᲚᲐᲓ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დაწესებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია — 2000 მანეთი. იგი მიენიჭება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგებში შესრულებული თვალსაჩინო ნაშრომისათვის.

1979 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია მიენიჭება ინდივიდუალური ან კოლექტიური მეცნიერული გამოკვლევისა ან მონოგრაფიისათვის, რომელიც უკანასკნელი სამი წლის მანძილზეა გამოქვეყნებული.

შრომის წარმოდგენა შეუძლიათ სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებს, უმაღლეს სასწავლებელთა კათედრებს, მეცნიერთა ჯგუფებს ან ცალკეულ მეცნიერებს, გარდა ავტორებისა.

საკონკურსო ნაშრომი წარმოდგენილ უნდა იქნეს სამ ცალად, დართული უნდა ჰქონდეს დახასიათება, რომელიც შეიცავს ნაშრომის მეცნიერულ შეფასებას და განმარტავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას მეცნიერების განვითარებისათვის.

**საკონკურსო მასალები უნდა წარედგინოს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითს განყოფილებას განცხადების გამოქვეყნების დღიდან ექვსი თვის განმავლობაში.**

**მისამართი:** თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 1. ოთახი 33. ტელეფონი 22-94-57.

## ᲙᲝᲛᲑᲐᲘᲜᲔᲠᲘᲡᲗᲐᲗᲕᲘᲡ, ᲨᲠᲐᲯᲒᲝᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ, ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ, ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲣᲠᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲣᲠᲐᲯᲔᲓᲚᲝᲗᲐᲡ!

**თავთავიანი კულტურების მომწიფებისა და მოსავლის აღების პერიოდში აუცილებლად განახორციელეთ ღონისძიებათა მაქსიმუმი, რათა დაიცვათ მოსავალი ხანძრისაგან.**

**ამ დროს განსაკუთრებული სიფხიზლე გმართებთ!**

არ შეიძლება თამბაქოს მოწევა და კოცონის გაჩაღება პურეულის მასივების ახლოს, კალოებთან, ზეინებთან, მაესლების სხვა თავმოყრისა და შენახვის ადგილებში.

ტრაქტორების, კომბაინების, ავტომანქანების სწავავ-საპოხით გასაწყობად აუცილებლად გამოყავით განცალკევებული, შემოხნული ადგილი.

სასოფლო-სამეურნეო მანქანები აღჭურვილი უნდა იყოს ნაპერწკალმქრობებითა და ხანძრის ჩრობის პირველადი საშუალებებით.

### ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲛᲔ!

უზრუნველყავით სადღეღამისო მორიგეობა პურეულის მასივებში და სასოფლო-სამეურნეო ობიექტებზე სახანძრო დოცალთის (ცეცხლისაგან დასაცავად.

თავთავიანი კულტურების მომწიფებისა და მოსავლის აღების პერიოდში სახანძრო უშიშროების უზრუნველყოფისთან დაკავშირებით ყველა საკითხზე საკონსულტაციოდ და დახმარებისათვის მიმართეთ სახანძრო დაცვის ორგანოებს და ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ადგილობრივ საბჭოებს.

**სოფლის მშრომელებო!**

იყავით ფრთხილად!
დაიცავით მოსავალი ცეცხლისაგან!

**საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახანძრო დაცვის სამმართველო; ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოება.**

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲨᲘᲜᲐ�გᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲮᲐᲜᲓᲠᲝ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ; ᲜᲔᲑᲐᲧᲝᲤᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲮᲐᲜᲓᲠᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ.

## ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ „ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲒᲐᲖᲐᲖᲔ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚᲘ

## Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ № 97 ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 1979-80 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლების 17-დან 25 წლამდე ქალაქელები და ვაჟები. სასწავლებელი ამზადებს რადიომემონტაჟიებსა და ანალიზური ხელსაწყოების ამწყობებს.

სწავლის პერიოდში მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიას— 72-80 მანეთს და საწარმოო პრაქტიკის დროს გამომუშავებულ თანხას დადგენილი წესით. სწავლის დრო ითვლება უწყვეტ სამუშაო სტაჟად. კურსდამთავრებულებს უფლება ეძლევათ სწავლა განაგრძონ უმაღლეს სასწავლებლებში და ჩარიცხვის დროს ეძლევათ გარკვეული შეღავათები. სასწავლებელი კურსდამთავრებულებს უზრუნველყოფს სამუშაო ადგილით სპეციალობის მიხედვით სამეცნიერო გაერთიანებაში.

**ჩარიცხვა მოხდება საკონკურსო შერჩევით. მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ დირექტორის სახელზე და დაურთონ შემდეგი საბუთები:**

საშუალო განათლების ატესტატი (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), დახასიათება უკანასკნელი ადგილიდან, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ექვსი ფოტოსურათი, პასპორტი და სამხედრო ბილეთი უნდა წარმოადგინოთ პირადად.

**საბუთები მიიღება 25 აგვისტომდე (დილის 9-დან საღამოს 17 საათამდე კვირა დღის გარდა).**

**მისამართი:** ქ. თბილისი, კამოს ქ. № 37 (ქორწინების სახლის გვერდით) ტელეფონი: 95-57-01, 95-97-02. დამატებით 5-96, 5-92. ტრანსპორტი: ავტობუსი № 47, 67, 4, 14; ტროლეიბუსი № 1, 4; სამარშრუტო ტაქსი № 14.

**საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსრ კავშირის ნიადაგმცოდნეობის საზოგადოების საქართველოს ფილიალი, საქართველოს გეოგრაფთა საზოგადოება და საქართველოს ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ნიადაგმცოდნეობის განყოფილების გამგე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, 1954 წლიდან სკკპ წევრი**

**ᲐᲜᲓᲠᲔ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲫᲔ ᲒᲝᲒᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

# ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲔᲜᲗᲝᲗ

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲠᲮᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ

### 2 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

**ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐᲗᲘᲗ:** 16.25 ᲐᲑᲘᲐᲣᲠᲘᲜᲔᲑᲗᲐᲗᲕᲘᲡ — ᲑᲘ